თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2443060

ნომერი: AR1377808

თარიღი : 12.02.2016

გაცემის თარიღი : 19.02.2016

გაცნობის თარიღი : 23.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 142 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი თეთრუაშვილი პ/ნ 01017025686
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს იმპერვეტი კოდი: 202384115

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება და გამომდინარე აქედან, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მოგახსენებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი სახით რეკლამის განთავსება. შესაძლებელია მისი განთავსება განხორციელდეს მბრუნავი კონსტრუქციის გარეშე, რის საფუძველზეც წარმოდგენილ უნდა იქნას განახლებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით).

გარდა ამისა გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან საპროექტო აბრა გადადის N 01.13.04.017.077 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, კერძოდ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #20-113 30.12.14წ. დადგენილების თანახმად კი ძალადაკარგულად გამოცხადდა "ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის #35.13.1465 დადგენილება, რომლის თანახმადაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიენიჭა უფლებამოსილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სახელით მიეღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის 6,0 კვ.მ.–მდე გამოყენებასთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა სარეკლამო კონსტრუქციის განთავსებასთან დაკავშირებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.